

საგაზელო

ქართული
ბიზნისი

საერთო ბაზარი ოთხშაბათი 27 ოქტომბერი 2004 №250 (2271)

ფასი 50 თეთრი

2006


დიდი რაი ავროპაში ვისკენ იქნება საქართველო?



**ვიზუალ საფრანგეთი?
თუ ფრანსე ბერბანია?
კლუბინი და ბეკენბუერი უფას
პრეზიდენტობისთვის იბრძვიან**



**ვის
ისურვებს
ბებერი
იუჰანსონი?**



**რთული
ურთიერთობა
ბოლოს მაინს
მარტივად
მთავრდება:
მირზა მერლანი
ვიტჯორჯიელი
აღარ არის**



**თქვით
რაგა!**

**ჭორი ჭურია:
გვინდა ჯდობა?!**


ეს დღეებია, საკალათბურთო თბილისი ერთ ამბავს მიეღობა, დრაფენ ბრაიკოვიჩი „დინამოს“ აღარ ავარჯიშებს და გუნდიდან ხომ არ გაუშვებს. არადა, საქართველოს ნაკრებისა და ქვეყნის ვიცეჩემპიონის ხორვატი თავკაცი ისეთი შეუმჩნეველი ფიგურა არაა, მის გარშემო აგორებული ხმები ერთი ყურიდან მეორეში გასაშვები იყოს. მაკედონიასთან ჩვენი ეროვნული ნაკრების წაგების შემდეგაც იყო ლაპარაკი, ბრაიკოვიჩის ბლომად წყალი შეუდგაო, მაგრამ მაშინ ჩავლილ ამ საქმეს ახლა უფრო მეტი საფუძველი მიეცა — „დინამოს“ მოთამაშეები ადასტურებენ, რომ სამი დღეა, ბრაიკოვიჩი ვარჯიშზე არ გამოჩენილა და გუნდის მზადებას სხვები უძღვებიან. თანაც გუნდის ბრაიკოვიჩი „დინამოს“ ბაზაზე კი მისულა, მაგრამ დარბაზში არც შესულა.

ოფიციალური პირები კონკრეტული პასუხისგან თავს იკავებენ, შესაძლოა იმიტომ, რომ ხორვატის წასვლა-არწასვლის საკითხი „მთლათ ზემოთ“ ჯერ არ გადაწყვეტილა. ან იქნებ გადაწყდა კიდევ და ბრაიკოვიჩი აქ პირადი საქმეების მოსაგვარებლადღაა.

მოკლედ, სათქმელიც და საქნელიც დროული სჯობს, თორემ ჭორიან ქალაქს კიდევ ერთი ჭორი დადღის.

გურამ დულენაშვილის ფოტო

დევდარიანა დინამო დიაგონალურად გაუფრა მძიმე ჰერიოლი მკონდა და ძალიან ბევრი ვისწავლა



გაბრიელ კატილაინი ფოტო

გიორგი დევდარიანის განვრთნილმა „თბილისმა“ მჭეკი ამბავი მოგვახალა — გუშინინ თბილისის „დინამოს“ 5:0 მოუგო. ფეხბურთში მართლაც ყველაფერი ხდება, ასეთ თამაშებს კი ცალკეული ფეხბურთელები ან მარტო ფეხბურთელები ვერ იგებენ, ასეთ დროს მწვრთნელის როლი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. დევდარიანთან საუბარიც „დინამოსთან“ მატჩით დავინყეთ...



გაბრიელ კატილაინი ფოტო

„თბილისთან“ მატჩში „დინამოს“ გოლი სერგო ორბელიანმა (№3) არ დააკლო

— რა იყო გადამწყვეტი ფაქტორი ამ მატჩში?

— ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არ არსებობს — ეს რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობა იყო.

— „დინამო“ „სოშოს“ მერე სრულად ძალამოკრებილი არ იყო, თანაც „დინამოსთან“ თამაში ნებისმიერი გუნდისთვის განსაკუთრებული მოტივაციაა, მაგრამ ალბათ წმინდა ტაქტიკური ასპექტებიც იყო...

— „დინამოს“ თამაშს ან ფორმას ვუყურებ, ან როცა მის წინააღმდეგ ვთამაშობთ. „სოშოსთან“ მატჩში კი სპეციალურად დავჯექი ისეთ ადგილას, რომ დიაგონალურად მეყურებინა თამაშისთვის, რამაც რალა-ც-რალაცების დანახვის საშუალება მომცა. „სოშო“ „დინამოს“ სამ ფორვარდს ოთხი მცველით კეტავდა, სამი მათგანი ცალკეულად მეურვებოდა მეტოქე თავდამსხმელებს, მეოთხე კი ლიბეროსავით თამაშობდა და ასე იყო მთელი თამაშის განმავლობაში. „სოშოსთან“ ნანახის შემდეგ ისიც მოვიფიქრე, ჩვენს ორ ფორვარდს „დინამოს“ ოთხი მცველის წინააღმდეგ როგორ ვთამაშა. ჩვენი ფორვარდები დინამოელ მცველებს ისე ეთამაშებოდნენ, რომ მცველები ბურთს ფლანგებზე ვერ აწვდიდნენ და ცენტრისკენ მიჰქონდათ, სადაც რიცხობრივი უპირატესობა გვექმნებოდა — ჩვენს ნახევარმცველებს ფორვარდების უკან გამწვესებული გონა ხოჯავაც ეხმარებოდა. ერთი სიტყვით, „სოშოსთან“ ნანახი თამაში ძალიან გამომადგა.

— ეს ამ სეზონში თქვენი ბოლო თამაში იყო „დინამოსთან“...

— ჰოდა, ყველას უნდოდა, რომ, ასე ვთქვათ, კარგად წავსულიყავი გუნდიდან, რისთვისაც ფეხბურთელებს მადლობას ვუხედი.

— კიოლნის სამწვრთნელო სკოლაში როდის მიდიხართ?

— თებერვალში ვაპირებ, თუ არადა, ექვსი თვის შემდეგ — ეს იმაზეა დამოკიდებული, გერმანულ ენას როდის ავითვისებ საფუძველს.

— რა იყო უმაღლესი, პროფლიცენზიისთვის უნდა ვისწავლო.

— პროფლიცენზიამდე C, B და A ლიცენზიები არ უნდა აიღოთ?

— სწავლის სისტემა მართლაც ასეთია, მაგრამ ლუის ცაკარიასმა კიოლნის სკოლის რექტორ ერის როლში უფროსთან მიშუამდგომლა და გამონაკლისის სახით მყისვე პროფლიცენზიისთვის ვისწავლი.

— მიმდინარე სეზონში თქვენსაკმაოდ რთული გამოცდების წინაშე იდექით...

— მართლაც ძალიან მძიმე პერიოდი მქონდა და ყველაფერ ამისგან ძალიან ბევრი ვისწავლე. უფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლეგისთან“ სტუმრად 0:6 წავაგეთ. მაგრამ მე „თბილისში“ მოსვლამდე მხოლოდ ბავშვთა ფეხბურთში ვმუშაობდი, ევროპულ ფეხბურთთან არანაირი შეხება არ მქონია. ან ასეთი მტკივნეული მარცხით უნდა ისწავლო რალაც, ან ცივილურად — წახვიდე უცხოეთში და იქ ისწავლო.

— ახალგაზრდულ ნაკრებში ერთ-ერთ მწვრთნელად დაინიშნეთ, თუმც შესარჩევი ციკლისთვის გუნდში უკვე აღარ იყავით — რა მოხდა?

— „ლეგისთან“ თამაშის წინ ძალიან ცუდად ვიყავი, ფილტვების ანთება მქონდა. თამაშის შემდეგ ამას ფსიქოლოგიური დარტყმაც დაემატა და ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობას ვუთხარი, ამ ეტაპზე ვერ შევძლებ თქვენთან მუშაობას-მეთქი. როცა გამოვჯანმრთელდი, ნაკრებში მუშაობა აღარ შემოუთავაზებიათ. მოკლედ, არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა.

— „თბილისის“ არასტაბილურობაზე რას გვეტყვით?

— საქმე ისაა, რომ საკუთარ თავს ბოლომდე ჩამოყალიბებულ მწვრთნელად ჯერ არ ვთვლი და ჩვენი გუნდის ახალგაზრდული ასაკიც გასათვალისწინებელია. შეცდომა იყო, როცა სეზონის წინ შეკრებისთვის თბილისიდან გასვლა არ მოვითხოვე — ჩვენ გრძელვადიანი პროგრამა გვექონდა შემუშავებული და სხვა გათვლები მქონდა. ისიცაა, რომ ჩვენთან არ არის ევროპულის დარი აღმდგენი საშუალებები. თუმც მიუხედავად ყველაფერ ამისა, „თბილისის“ ფეხბურთელებს ინდივიდუალურად ვაკვირდები და მთელი რიგი ახალგაზრდა მოთამაშეების ფუნქციური მომზადება რომ უკეთესია, ფაქტია. აქედან გამომდინარე, მათ თამაშსაც მოუმატეს.

— „დინამოდან“ წამოსულ სანდრო იაშვილს პრობლემები თქვენთანაც შეექმნა, მაგრამ ნუთუ შეუძლებელია, რომ მწვრთნელმა ნიჭიერ და ჭირვეულ ფეხბურთელს გასაღები მოარგოს?

— საამისოდ ცდას არ ვაკლებ და იაშვილის სწორ გზაზე დაყენება ჯერაც არაა გვიან. მაგრამ თუ ამაზე თვითონაც არ იზრუნა, მერე უკვე საკუთარ თავს ვეღარ დავადანაშაულებ.

FOR SALE მერლანის 3იბ ჯორჯია დამთავრდა



გაბრიელ კატილაინი ფოტო

ერთი საინტერესო ამბავი: საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ და მეკარე მირზა მერლანის გზები საბოლოოდ გაიყარა. უკვე სამი დღეა, ფეხბურთელი კლუბში არავის უნახავს და „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამაც კარგად უწყის მერლანის წასვლის ამბავი. მეკარემ ბოლოს სწორედ კლუბის უფროსობასთან ისაუბრა და გარკვეულ პირობებზე შეუთანხმებლობის გამო „ვიტ ჯორჯია“ დატოვა. დატოვა, მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ მისთვის კლუბიდან გათავისუფლების ფურცლის მიცემას არ ჩქარობს. ვეტერინარები საკომპენსაციო თანხას ელიან.

ამ ინფორმაციას „ვიტ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობიდან ჯერჯერობით არავინ ადასტურებს, თუმც ფაქტია, რომ მირზა მერლანი, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, ახლა ახალი კლუბის ძიებითაა დაკავებული და მალე ალბათ მისი მთხოვნელიც გამოჩნდება.

კულუარებში ითქვა, მერლანს თბილისის „დინამო“ ეპატიუებო, მაგრამ ამ ამბის სისწორეზე თავს ვერ დავდებთ.

ისე კი, მერლანის გაშვების სანაცვლოდ „ვიტ ჯორჯია“ წარმოუდგენელ თანხას როდი ითხოვს, ამ მეკარის გადასაბირებელი ფული რამდენიმე უმაღლესლიგელს კი უნდა ჰქონდეს.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ მირზა მერლანი და „ვიტ ჯორჯია“ წინა სეზონის ბოლოსაც დაშორდნენ, მაგრამ მოგვიანებით მეკარე კლუბს დაუბრუნდა და წლეულს რამდენჯერმე ითამაშა კიდევ. ახლა, ჩანს, მერლანი — „ვიტ ჯორჯიას“ ურთიერთობა საბოლოოდ დამთავრდა.

დავით თავართქილაძე კობა ინასარიძე

საქართველოს ჩემპიონატი 16 ლიგა 12 ტურში

თბილისი	5:0	დინამო
30ბ ჯორჯია	2:0	დილა
ლოკომოტივი	1:2	ზესტაფონი
სიონი	1:0	ბათუმი
ბორჯომი	1:1	კოლხეთი

დავანესოთ პრიზი სიურპრიზი

ზოგადად, 12 ჩვეულებრივი, მშვიდი, უნავსო და უჯადოო რიცხვია, მაგრამ რაც საქართველოს ჩემპიონატის მეტორმეტე ტურში ამბები მოხდა...

აბა, ვინ იფიქრებდა, უმაღლეს ლიგაში გუნდი მოიძებნება, „დინამოს“ 5:0 გააცამტვერებსო; ან მაჩანჩალა „ზესტაფონი“ აბრეშუმის გზაზე შემდგარ „ლოკომოტივს“ რომ გადაადგებდა ლიანდაგიდან; თუგინდ უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლი „ბათუმის“ ბოლნისში ნაფორხილება რად ღირს... და ამ ამბებთან შედარებით ფოთის „კოლხეთის“ მიერ ქუთაისში „ტორპედოსთან“ აღებული ქულა საღიმილოც კი ჩანს...

მოკლედ, ნაღდად ალოგიკური ტური გამოვიდა და ინტრიგაც ჩაიხლართა.


ინტრიგა კი ჩემპიონატს ძალიანაც უხდება და ვისურვოთ, რომ მომავალ ტურებსაც არ დაჰკლებოდეს ამალეღვებელი თამაში და შედეგები...



გაკეთი ტი სტრუში...

დავანეს ზორიკას ძვირად ღირებულ

გადამი ამთილბაში ფოტო



გადამი ამთილბაში ფოტო



გადავამციროთ საქართველო ბანანების რესპუბლიკად!

საბავშვო ტელესერიალის გმირები ვაკეში, „ლოკომოტივ“-„ზესტაფონის“ მატჩზეც გამოჩნდნენ და „ლოკომოტივს“ უქომაგეს. „ლოკომოტივის“ უფროსობას საშინაო მატჩებზე ჯანმრთელობაშერყეული და მშობელთა ზრუნვას მოკლებული ბავშვები რომ მოჰყავს, არასალია. „ზესტაფონთან“ მატჩზე კი პატარებს ზოლიანი ბანანები ესტუმრნენ, ფენოვანი საჭაპურითა და ნაირგვარი სასმელებით გაუმასპინძლდნენ. ერთი ეგაა, ზოლიანმა ბანანებმა მასპინძელ გუნდს ვერაფერი უშველეს, თორემ ტრიბუნაც გაალამაზეს და ბავშვებიც ახალისეს.

მზრამ დოლენაშვილის ფოტო


სუპეროპაშეიშეიშეებით: ისოლა რა?..



მზრამ დოლენაშვილის ფოტო

გუშინ ვნერდით, რომ „ვიტჯორჯია“ — „დილას“ მატჩზე მთავარმა მსაჯმა დავით სანაიამ სტუმართა მწვრთნელი სოსო ვაშაკიძე კუთვნილი ადგილიდან ტრიბუნაზე გადააბრძანა. ამ ამბავს მარილს დღეს მოვაცრით და ეგებ თქვენც გახალისდეთ: მაგანი თვითმხილველის თქმით, ვაშაკიძემ სანაიას შენიშვნა რომ მისცა, არბიტრმა მეოთხე მსაჯ პაატა დოგრაშვილს უთხრა, ეს ვინ არის, რატომ ყვირის, ტრიბუნაზე გადავიდესო. მაგანი გორელი ამტკიცებდა, სანაიამ არ იცოდა, რომ „დილას“ თავკაცი გააძევაო.

ზომბარდირაზი	
7-მეზრამლაკე	ტორპედო
ბოროსიკა	ლოკომოტივი
მერაპაშვილი	ვიტჯორჯია
6-ჭელიკე	ბათუმი
მელქამე	დინამო



ერეკლას ერეკლას ფეხი წინ!

22 წლის ერეკლე მერებაშვილი შვიდი გოლით ჩემპიონატის ბომბარდირთა მარაქში გაერია. ვიტელი ფორვარდი რამდენიმე წლის განმავლობაში სათადარიგოთა სკამთან მეგობრობდა, ამ სეზონიდან კი ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და ჭერჭერობით თავის საჭმეს ფრიალზე ასრულებს. გუშინწინ გორის „დი-

ლასთან“ წყვილი გოლი მიითვალა, რომელთაგან მეორე განსაკუთრებით საამო სანახავი გამოდგა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ არცთუ მაღალი ფეხბურთელი თავითაც რიგთანად თამაშობს. მოკლედ, ჭერ ადამია იყო, მერე მარცვლაძის რიგი დადგა, ახლა კი ვითომ ერეკლე მერებაშვილის დროა?

სიმბოლური ნაპრბი	გოგი ფიფია	ერეკლე მერებაშვილი
	თბილისი	ვიტჯორჯია
	გორა სოფავე	
	თბილისი	
გოგიტა გოგუა	მინიელ პასარაშვილი	ზურაბ კახსაშვილი
თბილისი	ზესტაფონი	ზესტაფონი
		თეიმურ რაძვიაშვილი
		ზესტაფონი
რევაზ ბენაძე	კახა სილაგონიძე	მინიელ კოვაკური
თბილისი	ზესტაფონი	სიონი
		ზვიად სტურუა
		ტორპედო
გუნდი: თბილისი		მწვრთნელი: გიორგი დავთარიანი

დინამო	12	8	2	2	27:14	26
თბილისი	12	7	2	3	26:13	23
ბორჯომი	12	6	5	1	17:6	23
ბათუმი	12	6	3	3	18:8	21
ვიტჯორჯია	12	6	2	4	23:17	20
ლოკომოტივი	12	5	5	2	16:6	20
სიონი	12	3	1	8	11:28	10
ზესტაფონი	12	3	1	8	9:28	10
კოლხეთი	12	2	2	8	8:21	8
დილა	12	2	1	9	8:22	7

მომდევნო ტური
30 მატჩობერი
შაბათი
ბათუმი - ვიტჯორჯია
დილა - თბილისი
დინამო - ტორპედო
სიონი - ლოკომოტივი
კოლხეთი - ზესტაფონი

იზაქალია

ფაბიო კაპელო რომას რომაელებით დაუსვდება

შუა კვირაში ჩასმული ტურის ცენტრალური თამაში ულაპარაკოდ „დელე ალპიზე“, „იუვენტუსსა“ და „რომას“ შორის გაიმართება. „რომა“, რაენდ მოშლილ-მორ-

ყეული იყოს, მაინც ფრანჩესკო ტოტის გუნდია და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ესეც არ იყოს, მატჩს აშკარად ექნება ასეთი ხიბლიც: „რომადან“ „იუვენტუსში“ სულ ახლახან, გასულ ზაფხულს გადავიდნენ მწვრთნელი ფაბიო კაპელო და ფეხბურთელები, ჯონათან ძებინა და ემერსონი, ანუ ისინი თავიანთი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებენ. კიდევ, საინტერესოა, რომ „იუვენტუსისა“ და „რომას“ ვითომ სატრანსფერო პარტნიორობა სინამდვილეში გვარიანი კონკურენციაა. გეზსომებათ, რა დაძაბულად წარიმართა ემერსონის რომიდან ტურინში გადაყვანის პროცესი, ხოლო ამ შემოდგომაზე იმავე გზაზე ანტონიო კასანოს შეყენების კამპანიაც დაიწყო. სხვათა შორის, ბოლო დღეებში კასანოსა და კლუბს შორის მორიგი შავი კატა ვარბი-გამორბოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ ამ ერთხელაც მთავრულა ვითარება და კასანო „დელე ალპიზე“ ითამაშებს.

საინტერესოა კიდევ ის, რომ მიმდინარე სეზონში, როგორც „იუვენტუსმა“ ასევე „რომაში“ (და კიდევ „ლაციოში“), აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში გაიტანეს გოლები ანუ შეიძლება ითქვას, რომ ტურინში ერთმანეთის პირისპირ ამ წუთისთვის საუკეთესო ორი თავდასხმა წარსდგება, რასაც დაამატებთ ის, რომ „იუვენტუსს“ მხოლოდ ორი გოლი აქვს გაშვებული. რაც შეეხება რომაელთა დაცვას, აქ საქმე მთლად იდეალურად ნამდვილად არ არის: კრისტიან პანუჩის ამბავი ცნობილია, მან მწვრთნელის, ლუიჯი დელ ნერის წინააღმდეგ ჩაიდინა რაღაც, რასაც არ აკონკრეტებენ, ხოლო კრისტიან კიეუ, ვენსან კანდელა და მეკარე (ესეც დაცვას მივათვალთ) ივან პელიციოლი დაშვებულები არიან.



ზვალ პაველ ნედევეს და ჯონათან ძებინას ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი ექნებათ

ეს მატჩი ზვალ, ჩვენი დროით თერთმეტის ნახევარზე დაიწყება. ხოლო „ლაციო“ რომ ვახსენებთ, „ინტერს“ მასპინძლობს. ზღნეკ ზემანი და რობერტო მანჩინი შემტევი ფეხბურთის ორი მიმდევარი მწვრთნელი გახლავთ. ჩახედეთ ცხრილს, ნახეთ, რამდენი აქვთ გატანილი-გაშვებული გნებათ ერთს და გნებათ მეორეს. „ინტერში“ ნიკოლა პურდისო და ალვარო რეკობა კვლავ დაშვებულები არიან, ხოლო ზე მარია და ანდი ვან დერ შეიდე ზავიერ ძანეტისა და ემრეს მაგიერად ითამაშებენ. „ლაციოს“ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული რულო. დაცვაში ითამაშებს ლორენცო სტოვინი, ხოლო ალექს პინარდი გამოჯანმრთელდა და მოედანს დაუბრუნდება. „ლაციოს“ ამ სეზონში შინ სამივე თამაში მოგებული აქვს, ხოლო „ინტერი“ არ დამარცხებულა, ასე რომ, „სტადიო ვია დელ

მარეზე“ დღეს ძალიან საინტერესო თამაში მოსალოდნელი. დღესვე „მილანი“ ბერგამოს „ატალანტას“ მასპინძლობს. საგარაულო შემადგენლობებში კვლავ ვკითხულობთ კახა კალაძის გვარს... ამბობენ აგრეთვე, რომ ითამაშებენ კრისტიან ბროკი და მასიმო ამბროზინი. ბერგამოელთაგან ერთმანეთთან დისკვალიფიცირაციის გამო ვერ ითამაშებს ყოფილი მილანელი ჯანი კომანდინი, დემეტრიო ალბერტინის კი სწორედ რომ მოუწევს იმ გუნდის წინააღმდეგ თამაში, რომლის მასიურაც ათ წელიწადზე მეტხანს ეცვა. „კიევი“ „სამპდორიას“ მასპინძლობს. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ სალვატორე ლანა, რომელსაც ფაბიო მორი შეცვლის. დახედეთ ცხრილს: ამ სეზონში ვერონელები ჯერ არ დამარცხებულან.

VIII ტური	
დღეს	
ბოლონია	: უდინეზე
ბრეშა	: სიენა
ბარცა	: პარმა
ბიშეპო	: სამპდორია
ლაციო	: მსინა
ლაციო	: ინტერი
მილანი	: ატალანტა
პალერმო	: ლივორნო
რამპინა	: ფორლინო
სხვალ	
ბრეშა	: რომა

საღმართო ვითარება	
იუვენტუსი	7 6 1 0 15:2 19
ლაციო	7 4 2 1 18:9 14
მილანი	7 4 2 1 11:6 14
კიევი	7 3 4 0 7:4 13
ინტერი	7 2 5 0 14:11 11
მესინა	7 3 2 2 12:11 11
კალიარი	7 3 1 3 9:9 10
პალერმო	7 2 4 1 5:5 10
რომა	7 2 3 2 13:13 9
ბოლონია	7 3 0 4 7:8 9
სამპდორია	7 3 0 4 6:7 9
ბრეშა	7 3 0 4 8:13 9
ლაციო	7 2 2 3 7:8 8
რეჯინა	7 1 4 2 4:6 7
ფორინტინა	7 1 4 2 4:6 7
უდინეზე	7 1 3 3 8:8 6
პარმა	7 1 3 3 7:12 6
ლივორნო	7 1 2 4 6:11 5
სიენა	7 1 2 4 3:11 5
ატალანტა	7 0 4 3 9:13 4



კასანო სადილზე თამაში გადარჩება

პანუჩი ახალს ეჩხუბა და ძველთან მიდის

ნეტავ რამ შეაყვარათ რომაელ ფეხბურთელებს და მათ ყოფილ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს ერთმანეთი ასე ძალიან? მოგეხსენებათ, კაპელო დღეს „იუვენტუსს“ უდგას სათავეში. მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ გასულ ზაფხულს, სატრანსფერო აქტიურობის

პერიოდში, მწვრთნელთან ერთად დედაქალაქიდან ტურინში წავიდნენ ბრაზილიელი ემერსონი და ფრანგი ჯონათან ძებინა, ხოლო ახლა, შემდგომაზე იმავე მიმართულებით სხვა ფეხბურთელებიც იწვევენ და საიანვრო ბაზრის გახსნას ელოდებიან


რაგონივით დღის წინ გალითად, „რომას“ საწვრთნელი ცენტრიდან გამოვიდა ხმა, რომ ვეტერანმა მცველმა, კრისტიან პანუჩიმ, ერთ-ერთი ვარჯიშისას ახალ მწვრთნელზე, ლუიჯი დელ ნერიზე გაიწია და ამის გამო იგი კლუბმა დასაჯა — წინა ტურში არ ათამაშა. ამასთან ამბობენ, რომ დელ ნერის და პანუჩის კონფლიქტი ამით არ დასრულებულა, უფრო ზუსტად

კი იანვარში დაესმება წერტილი, როდესაც კლუბი პანუჩის თავიდან მოიშორებს, ვაკვირდის. მაგრამ სად? ბუნებრივია, პირველი, რაც ფეხბურთის მოყვარულს თავში აზრად მოსდის, პანუჩის „იუვენტუსში“ წასვლაა, რადგან იქ ფაბიო კაპელო მუშაობს. ფაბიო კაპელოს და პანუჩის ურთიერთობა დიდი ხანია ცნობილია. პანუჩი გახლდათ იმ „მილანის“ მც-

შვას, ხოლო იქიდან, სანაცვლოდ დელ ნერისთან ერთად „კიევიში“ ნამუშევარი და ტურინში დაწუნებული ნიკოლა ლეგროტალიე წაიყვანოს. ხოლო მეორე რომაელი, რომელიც საგარაუდოდ იანვარში „იუვენტუსში“ გადავა, თავდამსხმელი ანტონიო კასანო გახლავთ. მის ამბებს ბოლოხანს განსაკუთრებული ყურადღებით ვაღვწევდით თვალყურს და მთელი სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში ლამის ყოველ ნომერში ვაწვდიდით ახალ ცნობებს მკითხველს. გუშინ და წინა დღეებში, მაგალითად, გაუწყეთ, რომ კასანო გუნდისგან დამოუკიდებლად ვარჯიშობს, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბის წინაშე მის ტრანსფერის საკითხი დგას, მაგრამ დღეს თითქოს ვითარება შეიცვალა, რადგან ითქვა, რომ კასანო „იუვენტუსში“ კი არ გადავა, არამედ ზვალ სალა-

მოს მის წინააღმდეგ ითამაშებს. ერთი სიტყვით, კასანოს ჯერ თანაგუნდელებთან ერთად უვარჯიშოა, ხოლო შემდეგ „რომას“ სპორტულ დირექტორთან, ფრანკო ბალდინისთან ერთად უსაიდლია, თუმცა ზოგმა ამაზე თქვა, ბალდინის და კასანოს საუბარი მხოლოდ დღევანდელ თამაშს შეეხოს. „იმედი მაქვს, რომ კასანო არ ითამაშებს, რადგან ინდივიდუალურად ძალიან ძლიერია და მის წინაშე თამაში ძნელია — იღიბებოდა „იუვენტუსის“ მცველი ფაბიო კანავარო, რომელმაც დასძინა — სამაგიეროდ, დღეს იტალიაში ყველაზე ძლიერი გუნდი ჩვენ ვყავს. იქნებ „ინტერზე“ და „მილანზე“ ნაკლებად სასიამოვნო ფეხბურთის ვითამაშობდეთ, მაგრამ მათზე მეტად ვართ შეჯიბრებაზე კონცენტრირებული“.

ბაპუნა კეღია



კრისტიან პანუჩი

გერმანია

31 აპრილი

ნიურნბერგში გართობა



„შტუტგარტან“ ნახეირები ალექსანდრე იაშვილი დღეს „ჰამბურგს“ შეუტევენ

X ტური	
დღეს	
მაინცი	: ჰანზა
ლევინგენი	: არმიანი
ჰამბურგი	: შტუტგარტი
შტუტგარტი	: ვერდერი
ნიურნბერგი	: ვალკე

ბუნდესლიგა გასული უქმეების შემდეგ ორდღიანი დასვენება იკმარეს. მეათე ტური გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება. „შტუტგარტი“ სეზონში პირველი მარცხი „ფრაიბურგთან“ შეხვედრაში იგემა, ამ საღამოს კი მათიას ზამერის შევირდები ბრემენის „ვერდერს“ უმასპინძლებენ. დღევანდელ შეხვედრაში გამოინდება, შეძლებს თუ არა „შტუტგარტი“ კვლავ გამარჯვების ტალღაზე დაბრუნებას. ორივე გუნდს ერთ კვირაში მიჯრით შესამე მატჩის გამართვა უწევს აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი სეზონის განმავლობაში შტუტგარტელებს „მუსიკოსები“ შინ არ დაუმარცხებიათ. მასპინძლებს ხუთი დაშვებული ფეხბურთელი ჰყავთ — ფარენჰორსტი, პასანენი, გუსტავო ნერი, ლისტეში და ბოროესკი. „შტუტგარტის“ შემტევი წყვილი, კურანი-კაკაუ იქნება, „ვერდერისა“ კი — კლასნიჩი და კლოზე.

გელზენკირხენში რაღვ რანგნიკის მისვლის დღიდან „ვალკე“ მიჯრით ზედიზედ სამი მატჩი მოიგო. „ხუმარებმა“ შინ „ბონუსს“ და „მაინცს“ სძლიეს, სტუმრად კი თვით მიუნხენის „ბაიერნი“ დააჩოქეს. ამჯერად „ვალკე“ ნიურნბერგს ეწვევა. გელზენკირხენელებს გასვლით ოთხ შეხვედრაში ერთი გოლი გაუტანიათ და ეგებ „ნიურნბერგთან“ შეძლონ ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება. რაც შეეხება დამხვდურებს, ცხრა ტურში მხოლოდ ორ გამარჯვებას მიაღწი-


ეს და მათი საამსეზონო მიზანი ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. რაღვ რანგნიკს დისკვალიფიკაციამოხდელი აილტონისა ეიმედება, რომლის გოლითაც გასულ ტურში „ვალკე“ „მაინცს“ სძლია.

კერკეტი კაკალი „მაინცი“ როსტოკის „ჰანზას“ დაუხვდება. „ჰანზა“ ერთადერთი ბუნდესლიგელია, სტუმრად შეხვედრა რომ არ წაუგია. ეს გუნდი შემოდგომაზე გასვლაზე უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ. მათ ხუთივე საშინაო მატჩი წააგეს, სამაგიეროდ, ქულებს გარე-გარე სიარულით აგროვებენ და ალბათ „მაინცთანაც“ სულ მცირე, ერთი ქულის აღებას ვარაუდობენ. თუმცა მაინციელები თავის მხრივ საკუთარ სტადიონზე ყოჩაღად თამაშობენ. ოთხი მატჩიდან სამი მოიგეს და ერთხელ ფრეს დასჯერდნენ.

ლევინგენის „ბაიერი“ ბილფელდის „არმიანიას“ მიიღებს, რომელიც ცხრილში დღევანდელ მეტოქეზე მდლა დგას. ეს ლოგიკურიცაა, რადგან „არმიანიამ“ ბოლო ექვს ტურში ოთხი თამაში მოიგო. მათ შორის სამი სტუმრად. „ფარმაცევტებს“ დაშვებული დანიელ ბიროფკა ვერ დაეხმარება, ბილფელდელებს კი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები ჯანზე ჰყავთ.

ფოლკერ ფინკეს „ფრაიბურგი“ მისთვის ალბათ ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქე „ჰამბურგს“ ეწვევა. ამ გუნდების ბოლო ათი შეხვედრიდან ფრაიბურგელებმა ოდენ ერთი მოიგეს. სტუმრებს ბლომად ტრავმირებულიები ჰყავთ — ცქიტინშვილი, ბაირამოვიჩი, რამდანე, ანტარი და ჰერმელი. „ჰამბურგის“ ახალმა მწვრთნელმა, თომას დოლმა სადებიუტო თამაშში გასულ უქმეებზე დორტმუნდში „ბორუსიასთან“ იმარჯვა და კვლავაც მოსაგებად მომართული გუნდისა ეიმედება.

დაენახევა სურ? თაღლითმა რუღმა ისეზ ჩაყვინთა ჰენგარ-ფერგიუსონმა მსაჯს დაუმიზნას



მაიკლ რაილი

„მანჩესტერ“ — „არსენალის“ ხმაური გრძელდება: ფეხბურთის ასოციაციამ ბრალდების ქაღალდი გაუგზავნა რუღ ვან ნისტელროის, რომელსაც ეშლი კოულის ვერაგული ჩაწიხლვისთვის სასჯელი ელის და მოსთხოვა ოფიციალურად უარყოს, ან აღიაროს დანაშაული. ვან ნისტელროი მედიას უცხადებს, რომ უბრალოა:

„რადგან თამაში ბურთზე იყო და ასეთ დროს უხეშობები ხდება“.

ასოციაცია ესაუბრა „მეთოფეთა“ ბოსს არსენ ვენგერსაც და მისი შეხედულებებიც შეიტყო ვან ნისტელროისა და მსაჯ მაიკ რაილის შესახებ.

ასოციაცია ასევე იბიებს „ოლდ ტრეფორდის“ გვირაბში მომხდარ ამბავსაც. არაოფიციალური ცნობით, იქ ერთ-ერთმა „მეთოფემ“ სერ ალექს ფერგიუსონს ტომატის წვნიანი შეასხა.

საკვირაო მატჩი მწვავე გამოდგა: კემპბელმა ხელი არ ჩამოართვა უეინ რუნის, პენალტი სიმულაციით მოიპოვაო. 0:2-ზე დამარცხებულმა „არსენალმა“ კი მკაცრად გააკრიტიკა მსაჯი რაილი.

თამაში უხეში იყო და „მეთოფენი“ უფრო მკაცრ სასჯელებს ელოდნენ მოგებულთათვის.

ყოფილმა განთქმულმა მსაჯმა ჯეფ ვინტერმა თქვა, რომ ძალიან მძიმედ სამსაჯო მატჩში რაილი გუნდების ურთიერთდამოკიდებულების მსხვერპლი შე-

იქნა. მისი აზრით, ორივე მწვრთნელისგან ხისტი ტაქტიკა იყო შერჩეული და ასეთ დროს მსაჯი იოლი სამიზნეა.

პრემიერლიგის მსაჯთა შეფმა კიტ ჰაკეტმა კი თქვა, რაილიმ თამაშს თავი გაართვა და მოსათოკიც მოთოკაო.

ვან ნისტელროის რომ მიეუბრუნდეთ, ინგლისში მას თაღლითურად მოთამაშის, სხვანაირად მყვინთავის სახელი აქვს. თანაც, მას ამჩნევენ, რომ კოლეგებს და მსაჯებს პატივს არ სცემს.

ამის მაგალითი ბევრია. ჰოლანდიელი არა მხოლოდ თაღლითურ ჯარიმებს და ხერხებს მიმართავს, არამედ სიტყვა-პასუხიც ვერაგი აქვს ხოლმე.

კვირას, „ოლდ ტრეფორდის“ გვირაბში მან არსენ ვენგერს მიახალა: **BED LUCK** (ავი იღბალი). ჩვეულებრივ კი კაცს ეტყვიან ხოლმე, **GOOD LUCK** ანუ კარგი იღბალიო.

მოკლედ, მთელი ამ ამბებისთვის რუღს მ-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის.

ირაკლი გამყრელიძე





ფლორის სოსიელაძე აღარ აკაბიებს

პრიმერადივიზიონის მე-8 ტურში ბასკურ „სოსიელადთან“ დამარცხებით განრისხებულმა „მალიორკას“ პრეზიდენტმა მატეო ალემანიმ გუნდის დამრიგებელ ბენიტო ფლორის სამსახური დაატოვებინა. ამრიგად, ფლორო პირველი მწვრთნელია, რომელიც 2004-05-ის პრიმერაში არასახარბიელო შედეგების გამო გადააყენეს, რა თქმა უნდა, მადრიდის „რეალიდან“ საკუთარი ნებით წასულ ხოსე ანტონიო კამაჩოს თუ არ ჩავთვლით.

ფლორომ მოთამაშის კარიერა მძიმე ტრავმის გამო ნაადრევად, 26 წლისამ დაასრულა, მერე მწვრთნელობას მიჰყო ხელი — თავიდან დაბალი დივიზიონის გუნდებს თავკაცობდა, 1988-89 წლების სეზონში კი „ალბასეტე“ ჩააბარეს და ბენიტომ სწორედ იქ გაითქვა სახელი: „ალბა“ 1990-91 წლების სეზონში, თავის ისტორიაში პირველად, პრიმერადივიზიონში გადაიყვანა. მაშინდელი „ალბასეტე“ ჩემპიონატის გუნდ-დამოჩენად იქცა, მწვრთნელი კი მადრიდში — „სა-

ნტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ თავკაცად მიიწვიეს.

მაგრამ ფლოროს მადრიდში საქმეები ცუდად აუწყო. კასტილიელთა ახალმა მწვრთნელმა თავისი პირველი ოფიციალური მატჩი (1992 წლის 6 სექტემბერი) „რეალის“ მოსისხლე მტერთან, „ბარსელონასთან“ 1:2 წააგო. აქვე ვთქვათ, რომ ფლოროს „ბერნაბეუზე“ ყოფნისას „ბარსა“ ხშირად ამწუხრებდა — კატალონიელებმა მის „რეალს“ ჯერ ჩემპიონობა წაართვეს, ხოლო „კამპ ნოუზე“ ნამდვილი სასაკლაო მოუწყვეს — 5:0.

ესპანური კლუბებისა გარდა, ფლოროს ბედი იაპონურ „ვილიარვალს“ და მექსიკურ „მონტრერეიმც“ მოუხინჯავს, მერე კი კვლავ სამშობლოს, კერძოდ კი „ვილიარვალს“ დაუბრუნდა. მოხეტიალე მწვრთნელმა შარშან უეფას თასზე გამსვლელი მე-8 ადგილი მოინადირა, თუმცა ფეხბურთელებთან კონფლიქტის გამო „ვილიას“ დატოვება მოუხდა.

„მალიორკაში“ კი ფლორომ სულაც ოთხი თვე იმუშავა.

ლადო სომერიკი

სიკვდილი კოპენჰაგენში

გასულ უქმეებზე დანიაში „კოპენჰაგენისა“ და „ვიბორგის“ შეხვედრისას ტრიბუნაზე ტრაგედია დატრიალდა. მსაჯის გადაწყვეტილებით განრისხებული 24 წლის გულშემატკივარი ზედა იარუსის მოაჯირს შეახტა, წონასწორობა დაკარგა და ცხრა მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა. ქომაგი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს, მატჩი კი შეწყდა და აღარ დასრულებულა. ექიმები ამაოდ იბრძოდნენ მის გადასარჩენად — ახალგაზრდა კაცი მეორე დღეს გარდაიცვალა.



ვის დააყრდნობა ბარსა? ბეგირისტაინმა დაახურიც ახსენა

„ბარსელონამ“ განაცხადა, რომ იანვარში ედგარ დავიდსის შექმნას არ აპირებს, ოლივიე დაკურით კი ფრიად არის დაინტერესებული.

გასაგებია, რაც ხდება: კატალონიელები ედმილსონისა და ტიაგო მოტას სერიოზულმა ტრავმებმა შეაწუხა და დაცვაში გაწაფული ახალი ნახევარმცველის, ეგრეთ წოდებული საყრდენის შექმნას აპირებენ. თავდაპირველად დაირხა ხმა, რომ ეს ნახევარმცველი ედგარ დავიდსი იქნება. მოგეხსენებათ, პოლანდიელი გასული სეზონის მეორე წრეში უკვე თამაშობდა „ბარსაში“, მაგრამ ზაფხულზე „ინტერში“ გადავიდა, სადაც მართალია, ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება, როგორც ირკვევა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

„გასული სეზონის შემდეგ სხვა ვითარებაა — განაცხადა „ბარსას“ სპორუტლმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა — დავიდსმა ძალიან კარგად იცოდა ვინც ვიყავით, მაგრამ ჩვენთან კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა და სხვა კლუბში გადასვლა ამჯობინა. ეს არის და ეს“.

სამაგიეროდ, ბეგირისტაინმა სიმპათია ფრანგი დაკურის მიმართ გამოხატა.

„ჩვენ დაკურის შესახებ ინფორმაცია მივიღეთ, მაგრამ ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია, არც ფეხბურთელს დავლაპარაკებიათ უშუალოდ“ — დასძინა დირექტორმა.

ოლივიე დაკური, მოგეხსენებათ, „რომაში“ თამაშობს და, სავარაუდოდ, სწორად შეთავაზებული თანხით მისი გადაბირება ძნელი არ უნდა იყოს.

კიდევ ერთ ფეხბურთელზე აქვს „ბარსას“ თვალი დადგმული. ეს გახლავთ იუვენტუსელი ალესიო ტაკინარდი, რომლისადმი დადებითი დამოკიდებულება კატალონიელებს ადრეც გამოუხატავთ, მაგრამ „იუვენუს“ ახალი მწვრთნელისგან, ფაბიო კაპელოსგან განსხვავებით ტაკინარდი წინა მწვრთნელებს ძირითადი შემადგენლობის ხელშეუხებელ ფეხბურთელად მიაჩნდათ.

ბაჰუზა კეღია

ტევესს და ატლეტისკოს ერთმანეთი უნდათ კარლიტო 20 მილიონად უაფასეს

არგენტინული „ბოკა ხუნიორის“ ახალგაზრდა მოიერიშე კარლოს ტევესი მომდევნო სეზონიდან სავარაუდოდ მადრიდის „ატლეტისკოში“ ითამაშებს. გუშინდელ ესპანურ „ასში“ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, ტევესს კარიერის გაგრძელება სწორედ „ვიისენტე კალდერონზე“ სურს და არა მიუნხენის „ბაიერნი“ თუ ევროპის სხვა ბობოლა გუნდში. არადა მისი შექმნისთვის ბებერ კონტინენტზე ბევრი კლუბი ეტოქება ერთმანეთს.

„კარლოსს „ატლეტისკოში“ თამაში სურს. ესპანური პრიმერადივიზიონის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო ჩემპიონატია. ერთიგაა, ტევესს მადრიდში ცხოვრების პერსპექტივაც ძალიან ხიბლავს“ — უთხრა ფეხბურთელის აგენტმა რობერტო ტესონემ მადრიდულ „ასს“.

სამხრეთამერიკელს არც ის დაუმალავს, კლუბებს შორის მოლაპარაკება რომ უკვე დაიწყო: „მადრიდში უკვე გავგზავნეთ „ბოკას“ ემისარი, რომელიც „ატლეტისკოს“ თავკაცებთან ტევესის ტრანსფერზე თათბირობს. კარლიტოს დახმარება აპერტურას, კლაუსურასა და, რაც მთავარია, ლიბერტადორესის თასის გათამაშებაში დაგვეჭირდება, ამიტომ კარგი იქნება თუ ტე-

ვესი ევროპაში ზაფხულში წავა და არა იანვარში. ალბათ ორივე მხარისთვის მისაღებ საკონტრაქტო პირობებზე შევთანხმდებით“ — დასძინა ტესონემ.

აქვე ვთქვათ, რომ კარლოს

ტევესი 20 წლისაა და მისი სატრანსფერო ფასი 20 მილიონ ევროს აღწევს. თუმცა, „ასის“ მტკიცებით, კარლიტოს გავეროპელებისთვის 10 მილიონი ევროც საკმარისი იქნება.

ლადო სომერიკი



ოლივიე დაკური




კარლოს ტევესი



...და ან ტაზა პარსკვლავები

პოლ გესქოინი



გიყვარდეთი გაზა!

მე ხომ დავპირდი, რომ აღარ ვხდებოდი

პოლ გესქოინი უკვე დიდი ხანია, რაც აღარ ბრწყინავს, მაგრამ მაინც პოპულარულია — სადაც მივა, ყველგან ავტოგრაფს ართმევენ.

და გაზაც არ იზარებს, იღებს კალამს და წერს: გიყვარდეთ პოლ გესქოინი


ქტორს მაგონებსო. თან გესქოინი — გაზა... ესეც „გ“-ზეა და ისიც. ჰოდა, გაზაც აჰყვა მასხარაობას, მოედანზე დაიწყო ტუტუცობების კეთება. თავიდან საყოველთაოდ გამოაჯავრა საკუთარი გუნდის მცველს, როდესაც მან შეცდომა დაუშვა, მერე მოწინააღმდეგეებზე გადავიდა, როგორც კი ვინმე იოლი პოზიციიდან ააცილებდა ან რამე ამგვარს იზამდა, გაზა მაიმუნობას იწყებდა. „ამ კაცს მაყურებლის გართობა და ჭიხვინი უნდა, მეტის ტვინი კი პოლს არ აქვს“ — აი, ცოლიც

ასეთი უნდა — ეს სიტყვები შეილას ეკუთვნოდა, ქალს, რომელსაც მოჭიხვინე გაზა კვირაში ერთხელ სცემდა. „უცნაური ქალია, რატომ უამბო ყველაფერი ჟურნალისტებს, მე ხომ დავპირდი, რომ აღარ ვცემდი!“ — თქვა ერთხელ გესქოინმა. მერე ეს ისტორია რამდენჯერმე გამეორდა: პოლი დათვრა, ცოლი სცემა, ცოლმა გაავლო, პოლი გამოფხიზლდა და საჯაროდ, გაზეთ „სანის“ მეშვეობით დაიწყო ცრემლიანი ბოდიშების მოხდა. ხანდახან გაზა მოედანზეც იქნე-

ვდა მუშტებს. მაგალითად, ერთხელ „ასტონ ვილას“ მოთამაშეს, ბოატენგს მუშტი მოუქნია, ააცილა და ხელი მოიტეხა. აი, ასე, გაზამ ბოთლი გვერდით ამოიყენა და მთელი ზამთარი არ გამოფხიზლებულა. ის კი არა, მანამდე ვიღაცეებს რჩევით საავადმყოფოში მივიდა, იქ კინალამ გადაირია, რომელი ავადმყოფი მე ვარ, საავადმყოფოში რა მინდაო და გამოიქცა, რის შემდეგაც „ევერტონში“ მიიღეს, მაგრამ... „თამაშის დროს არ ვსვამდი, ანუ შაბათ და კვირას — იგონებს გა-

ზა — სხვა დღეებში კი საშინელოდღეში ვიყავი. დილაობით ვივარჯიშებდი, მერე ვსვამდი და მთლიანად სულ არ მაინტერესებდა. მხოლოდ ერთ რამე მინდოდა, ციფრ მაღლე; გასულიყო. მსგ კი ვხვდებოდი, რომ ყველაფერი შეიძლებოდა ცუდად დამთავრებულიყო, მაგრამ რეალურად მხოლოდ მაშინ შევშფოთიდი, როდესაც ძალ-ღონე, ჯანმთედ ღობა და ნერვები აღარ შემრჩა“. და მწვრთნელის, ვალტერ სმიტის რჩევით გაზა არიზონას გაემართა, რათა იქ ემკურნალა, არა, იქე დი კი არ ჰქონდა, უბრალოდ სხვაგან წასასვლელი აღარ ჰქონდა. არიზონელმა სპეციალისტებმა 12-ეტაპიანი კურსი ჩაუტარეს. მედიკოსები, მხოლოდ სმის გადაწყვეტაზე კი არა, ცხოვრების მოწყობაზე იყო აგებული. კლინიკაში მი სულ გესქოინს გული გადაუტრიალდა. ერთბაშად ამდენი ლოსოს, ნარკოზის, მუცელმკერეთის და პათოლოგის დანახვამ საშინელოდღეში ჩაავლო. ერთ კვირაში მივეჩვიე და სამუცემოდ იქ დარჩენის სურვილიც განიწინდა, მერეც ბევრჯერ მდომებია დაბრუნება“ — იგონებდა მერე. მკურნალობის ერთი კურსი დიდებულია, მაგრამ გაზა თერაპეუტთან მაინც რეგულარულად დაეგის. „როდესაც ჩემს წინ ჭიქაა, მაინც შიში მიპყრობს. გუშინ არ დაიძლიერე, დღეს არ ვსვამ და იმედი მაქვს, ხომ ხვალაც არ დავლევ“. მართალია რომ გითხრაო, კიდევ შეგვიძლია პოლ გესქოინის ცოდვებსა და განკურნებაზე საუბარი, ამბები იცოცხლეთ, ბევრი ვიცით. თავად განსაჯეთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში „სანი“ მომენტს არ უშვებდა გაზას ერთი წაქეიფება გაზეთში არ გამოეჭიმა ან ცოლის ყოველი ცემის შემდეგ ქალის მეგობრისთვის გვარიანი თანხის საფასურად მთელი ამბები წერილად არ გამოეკითხა, მაგრამ ერთ რამეს გეტყვით გულახდილად და იმედი გვაქვს, გაგვიგებთ: საკუთარ ნაწერს რომ ჩაგვხედო, მივხვდით, რომ ფეხბურთზე იქ არაფერი წერია და...

პაპუნა გვილი



გალა წარმოდგენს ბაქოში

— დადიანის მემორიალიდან დაბრუნების შემდეგ აზერბაიჯანის ჩემპიონატში უკვე ორი მატჩი მოვილიეთ.

— იმედია, ჩემპიონატში წარმატებული დებიუტი გქონდათ...

— გავიმარჯვეთ, მაგრამ ისევ ვერა, როგორც აქაური გულშემატკივრები არიან ჩვეულებრივ ფაგორიტისგან აუტსაიდერის დამარცხებას. პირველ მეტოქეს, ბაქოს „ზარს“ 19 ქულა მოვუგეთ. „ზარი“ შარშან ძალიან სუსტი იყო, მაგრამ წლეულს ოთხი ქართველი ჰყავს და ამბიციაც მოემატა. ჩვენს წინააღმდეგ ითამაშეს დავით ბარბაქაძემ, ნოე შანიძემ, ირაკლი გულაშვილმა და ლევან ლუკავამ. მომდევნო ტურში კი „აშტოპს“ ვეთამაშეთ და 124:57 მოვუგეთ.


— „აშტოპი“ ალბათ ყველაზე სუსტი გუნდია...

— არა, არის ერთი მაჩანაღალი, სახელი არ მახსოვს — რომელიმე „გალა“ წინა ტურში 90 ქულით მოუგო. სხვათა შორის, „გალა“, „აშტოპსაც“ ეთამაშა და მასაც დაახლოებით 90 ქულა მოუგო.

— მოკლედ, თქვენი გუნდი და „გალა“ უკონკურენტოები არიან ბაქოში...

— თითქმის უკონკურენტოები... თუმცა, როგორც ვითხარით, ის გუნდებიც მომძლავრდნენ, რომლებსაც ქართველები ჰყავთ. „ზარი“ ხომ ოთხი ქართველი თამაშობს, „ბე-შე-შეშიც“ ამდენივე ჩვენებურია. ეს გუნდები წინა ტურში შეხვდნენ ერთმანეთს და „ზარმა“ ქულით დაამარცხა „ბე-შე-შე“. ასეთი დაძაბული მატჩები უცხო ხილია აქაური გულშემატკივრისთვის და მაყურებელიც კმაყოფილია.

— „ბე-შე-შეში“ ვინ თამაშობენ?



მურამ ფურცხვაძის ფოტო

ხანდელას დადიანური დაუფასეს

რა გასაკვირია, ნუგზარ კანდელაკის „ნტდ-დევონმა“ გამარჯვებით რომ დაიწყო აზერბაიჯანის ჩემპიონატი. ბაქოში ხომ მის „დევონს“ დაკიდევ რიმას კურტინაიტისის „გალას“ ეტყოფა მწვრთნელის ხელი. ამ ბოლო დროს კიდევ წამოიჩინნენ სხვა გუნდები, რომლებსაც გარკვეული პრეტენზიები გაუჩნდათ და აზერბაიჯანის წამყვან კლუბებთან 60-80 ქულით აღარ აგებენ. ეს ისევ და ისევ ქართველთა დახმარებით მოხერხდა. „ზარში“ და „ბე-შე-შეში“ მოთამაშე ჩვენებურთა წყალობით, აზერბაიჯანულ ჩემპიონატში ასტრონომიული სხვაობები ნაკლებად ფიქსირდება. ნუგზარ კანდელაკის „დევონმა“ თავისი ოთხი ქართველით 19 ქულით დაამარცხა ასევე ოთხი ქართველის მყოფი „ზარი“, ხოლო მთლიანად ადგილობრივი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ „აშტოპს“ 77 ქულით „გადაუარა“. ახლა მთელი ბაქო „დევონი“ — „გალას“ ჯახს ელოდება, რომელიც 30 ოქტომბერს, 16 საათზე გაიმართება და „აიეტის“ მფლობელ თბილისელებს მისი ნახვის საშუალება გექნებათ...

ნუგზარ კანდელაკის „დევონმა“ თავისი ოთხი ქართველით 19 ქულით დაამარცხა ასევე ოთხი ქართველის მყოფი „ზარი“, ხოლო მთლიანად ადგილობრივი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ „აშტოპს“ 77 ქულით „გადაუარა“. ახლა მთელი ბაქო „დევონი“ — „გალას“ ჯახს ელოდება, რომელიც 30 ოქტომბერს, 16 საათზე გაიმართება და „აიეტის“ მფლობელ თბილისელებს მისი ნახვის საშუალება გექნებათ...

— გულივერ ახალკაცი, კირილე ოქტომბერს ვეთამაშებით და მთელი ბაქო, ვისაც კალათბურთის რაიმე გაეგება, ამ მატჩზე ლაპარაკობს. პირველად ხდება, რომ „გალას“ ფაფორიტად არ თვლიან. აქამდე „გალას“ ერთი მატჩიც კი არ

წაუგია ეროვნულ ჩემპიონატში და პრესა წერს, ნავის გატეხვა „დევონს“ შეუძლია. — თავად რას ფიქრობთ, შეგწევთ „გალას“ დამარცხების ძალა?

პარიზელთა სასიაქობრო მოულოდნელობა

მაგაცაფვილი დიდ კაცებში გაბრია

ცუდი ჩვეულება დასწმდით საფრანგეთში მოთამაშე ქართველებს — სამატჩო განაცხადში არიან, თუმცა მთელ დროს სათადარიგო სკამზე ატარებენ. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება დიჟონელ ვიქტორ სანიკიძეს, რომელიც საცაა, ხუთეულშიც დაიკვიდრებს ადგილს, ხოლო შალონელი სერგო ათუაშვილი და რასინგელი ვიორგი მამაცაშვილი საფრანგეთის ეროვნულ ჩემპიონატში დებიუტს ვერაც ელიან. თუმცა ეს ამბავი არა უარყოფითი, არამედ დადებითი კუთხით გვინდა გამეცნოთ, რაკი სრულიად დაუღვივებელი ახალგაზრდებისთვის საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩების განაცხადში ყოფნაც კი რაღაცას ნიშნავს. თანაც სულაც არ ელოდა ვიორგი მამაცაშვილი, რომ პარიზულ „რასინგის“ ძირითადი გუნდის განაცხადში შეიყვანდნენ.

„წინა სეზონში „დიჟონის“ დუბლებში ვიყავი და „რასინგმა“ იმ მიზნით ამიყვანა, რომ ახალგაზრდულ გუნდში მათამაშებდა, თუმცა მოულოდნელად ბოლო ტურში, „ლე ავრის“ წინააღმდეგ ძირითადი გუნდის განაცხადში აღმოჩნდი. მართალია, მოედანზე არ გამიყვანეს, მაგრამ იმასაც არ ველოდი, რომ საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატის მატჩში თუნდაც სათადარიგო ვიქნებოდი“ — გვითხრა მამაცაშვილმა პარიზიდან. ვიორგის დეკემბერში უსრულდება 18 წელი და პარიზელებიც ალბათ მამინ გაუფორმებენ პროფესიულ კონტრაქტს, როცა სრულწლოვანი გახდება. ყოველ შემთხვევაში,

„რასინგი“ არ ჩქარობს მამაცაშვილთან ოფიციალური ხელშეკრულების დადებას, ხოლო რაც საფრანგეთის ჩემპიონატში სათამაშოდაა საჭირო, იმ საბუთებზე პარიზელებმა ჩვენებურს უკვე მოაწვინეს ხელი. „კონტრაქტის პირობები კარგა ხანია, შეთანხმებულია და მიუხედავად იმისა, რომ მასზე ხელი ჯერ არ მომიწვია, პარიზელები ყველა პირობას ასრულებენ. ბინაც მომცეს, ხელფასიც დამინიშნეს და სხვა დანარჩენ პირობებსაც მისრულებენ. მალე 18 წლის გაკხდება და ალბათ მეტი მიეცემა ყველაფერს ოფიციალური სახე, მანამდე კი ხელს არაფერი მიშლის, „რასინგის“ დუბლებშიც ვითამაშო და ძირითად გუნდშიც ვიქნებოდი, რომელიც სათამაშოდაა საჭირო. ასე რომ არ იყოს, ხომ ვერ ვითამაშებდი?“ ვიორგის დუბლების მხოლოდ პირველი მატჩი გაუცდა ტრაუმის გამო, მომდევნო ოთხში კი დამწყებ ხუთეულში იყო. ვერ ვიტყვი, რომ ციდან ვარსკვლავებს ვკრეფ, მაგრამ 25-30 წუთი სისტემატიურად ვარ მოედანზე — ამბობს „მამაცა“. ათუაშვილის „შალონის“ ძირითადში ყოფნა კი სულაც არაა მოულოდნელობა, რაკი ფრანგებმა სერგოს თავიდანვე უთხრეს, დიდი გუნდისთვის გვინდინარო, მაგრამ თუ აქამდე გაუჭიანურებდნენ დებიუტს, არც ამას ფიქრობდა. მაგრამ თავის დროზე ხომ სანიკიძემაც ასე დაიწყო „დიჟონში“... **ირაკლი პერტაია**



ამომ უნდასტორი ტაპირა

ოპერაციას კმარა! ცქიბიშვილს ხისტაბა შუბიას

უიღბლო სეზონის შემდეგ ნიკა ცქიბიშვილს საქმეები კიდევ უფრო აებურდა. საქართველოს ნაკრებმოვლილი „სკიტა“ დენვერში ცუდ ფეხზე დაბრუნდა — ერთ-ერთ პირველ ვარჯიშზე ტრაუმა მიიღო და სავამოფენო მატჩებში ოდენ 13 წუთი ითამაშა. ახლა კი მეორე ფეხიც საწამლო გაუნდა და ვინ იცის, საოპერაციოც. გაზეთი „როკომპანი“ ცქიბიშვილის ტრავმის შესახებ ნიუს ირონიით იწყებს — „სკიტასთვის“ წლეულს არაფერი წარმართულა გემის მიხედვით და რაღა მკურნალობის პროცესი გახდებოდა გამონაკლისი? ამათ დენვერელი ურნალისტები ქართველი ფორვარდის უიღბლობაზე ამხეილებენ ყურადღებას და საამისო მიზეზი წამდვლიად აქვთ. ცქიბიშვილს მარჯვენა მუხლქვეშ კისტა განუვითარდა, რომელიც იმ დღეს თავისით

გასკდა და პრობლემაც თითქოს აქ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ნიკას ახლა მარცხენა მუხლთან გაუნდა კისტა. პირველი წყელული თვალისთვის ხილული იყო, მეორე კი კანქვეშაა და თუ სპეციალურად არ გამოიკვლიეს, დიაგნოზს ვერ დასვამენ. ჰოდა, დაუსახლებელი მიზეზების გამო მუხლის გადაღება ორმაბათის ნაცვლად სამაბათს გადაიტანეს, რაც ისედაც ცაიტნოტში მყოფ ქართველისთვის მორიგ იმედგაცრუებად შეიძლება ჩაითვალოს. თუ ეს კისტაც თავისით არ გასკდა, ქირურგიული ჩარევა გახდება საჭირო, ამბობენ ექიმები. ნიკა კი იმედინდა: „მუხლი სულ მტკიავა, მაგრამ არ ვიცი, რატომ. ექიმებმა ალბათ იციან, რასაც ამბობენ და ოპერაციაც ეგებ არ დამჭირდეს. არა, ქირურგიული ჩარევა არ უნდა გახდეს საჭირო.“

ყველაზე სწრაფები მსოფლიოში



სამეფო რბოლების 55-წლიან ისტორიაში 27-მა პილოტმა დაიდგა ჩემპიონის ვვირვენი. საშუალოდ ყოველ მეორე სეზონში ახალი ტრიუმფატორი გამოდის.

ყველაზე მეტი – რვა გამარჯვებული ჰყავს დიდ ბრიტანეთს, სამი – ბრაზილიას, კიდევ 11 ქვეყანას თითო-ორიოლა. უმეტესობამ ლეგენდარული სახელი დატოვა, ერთი-ორმა კი სულაც შემთხვევით მოიპოვა ტიტული. ასეა თუ ისე, ყველანი უკვდავთა სიაში ჩაენერნენ და ჩვენც, სეზონთშორის ოთხთვიურში, გაისად მარტში მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე ყოველ მათგანზე დანვრითებით მოგითხრობთ

ჯუზეპე ფარინა
იტალია



1906 — 1966
1950 წლის ჩემპიონი
33 რბოლა, 5 მოგება, 127,33 ქულა

აირტონ სენა
ბრაზილია




1960 — 1994
სამგზის (1988, 90, 91) ჩემპიონი
161 რბოლა, 41 მოგება, 614 ქულა

ნუანე პანუელ ფანსიო
არგენტინა




1911 — 1995
ხუთგზის (1951, 54-57) ჩემპიონი
51 რბოლა, 24 მოგება, 277,14 ქულა

ბრაუ პილი
დიდი ბრიტანეთი




1929 — 1975
ორგზის (1962, 68) ჩემპიონი
176 რბოლა, 14 მოგება, 289 ქულა

იოსან რინდტი
ავსტრია




1942 — 1970
1970 წლის ჩემპიონი
60 რბოლა, 6 მოგება, 109 ქულა

ჯოდი უიტიპრი
სამხრეთ აფრიკა



დაიბადა 1950 წელს
1979 წლის ჩემპიონი
112 რბოლა, 10 მოგება, 255 ქულა

ნაიჯელ ენსელი
დიდი ბრიტანეთი




დაიბადა 1954 წელს
1992 წლის ჩემპიონი
187 რბოლა, 31 მოგება, 482 ქულა

ალბერტო ასკარი
იტალია




1918 — 1955
ორგზის (1952, 53) ჩემპიონი
31 რბოლა, 13 მოგება, 140,64 ქულა

ჯიმ კლარკი
დიდი ბრიტანეთი



1936 — 1969
ორგზის (1963, 65) ჩემპიონი
72 რბოლა, 25 მოგება, 274 ქულა

ემერსონ ფიტიპალდი
ბრაზილია



დაიბადა 1946 წელს
ორგზის (1972, 74) ჩემპიონი
144 რბოლა, 14 მოგება, 281 ქულა

ჯანს ჯოუნსი
ავსტრალია



დაიბადა 1946 წელს
1980 წლის ჩემპიონი
116 რბოლა, 12 მოგება, 206 ქულა

მისაელ უუაჰერი
გერმანია



დაიბადა 1969 წელს
შვიდგზის (94,95,2000-04) ჩემპიონი
213 რბოლა, 83 მოგება, 1186 ქულა

მაიკ ჰოლტონი
დიდი ბრიტანეთი



1929 — 1959
1958 წლის ჩემპიონი
45 რბოლა, 3 მოგება, 127,64 ქულა

ჯონ სარტისი
დიდი ბრიტანეთი




დაიბადა 1934 წელს
1964 წლის ჩემპიონი
111 რბოლა, 6 მოგება, 180 ქულა

ნიკი ლაუდა
ავსტრია




დაიბადა 1949 წელს
სამგზის (1975, 77, 84) ჩემპიონი
171 რბოლა, 25 მოგება, 420 ქულა

ნელსონ პიკე
ბრაზილია



დაიბადა 1952 წელს
სამგზის (1981, 83, 87) ჩემპიონი
204 რბოლა, 23 მოგება, 485,5 ქულა

დემიურე პილი
დიდი ბრიტანეთი




დაიბადა 1961 წელს
1996 წლის ჩემპიონი
116 რბოლა, 22 მოგება, 360 ქულა

ჯიპ ბრეპეში
ავსტრალია



დაიბადა 1926 წელს
სამგზის (1959,60,66) ჩემპიონი
126 რბოლა, 14 მოგება, 261 ქულა

დენი ჰალეში
ახალი ზელანდია




1936 — 1992
1967 წლის ჩემპიონი
112 რბოლა, 8 მოგება, 248 ქულა

ჯეიმს ჰანტი
დიდი ბრიტანეთი



1947 — 1993
1976 წლის ჩემპიონი
92 რბოლა, 10 მოგება, 179 ქულა

კეკე როსპერგი
ფინეთი




დაიბადა 1948 წელს
1982 წლის ჩემპიონი
114 რბოლა, 5 მოგება, 159,5 ქულა

შაპ ვილნევი
კანადა



დაიბადა 1971 წელს
1997 წლის ჩემპიონი
134 რბოლა, 11 მოგება, 219 ქულა

ფილ პილი
აშშ




დაიბადა 1927 წელს
1961 წლის ჩემპიონი
48 რბოლა, 3 მოგება, 98 ქულა

ჯეკი სტიუარტი
დიდი ბრიტანეთი




დაიბადა 1939 წელს
სამგზის (1969, 71, 73) ჩემპიონი
99 რბოლა, 27 მოგება, 360 ქულა

მარიო ანდრეტი
აშშ




დაიბადა 1940 წელს
1978 წლის ჩემპიონი
128 რბოლა, 12 მოგება, 180 ქულა

ალან პროსტი
საფრანგეთი




დაიბადა 1955 წელს
ოთხგზის (1985, 86, 89, 93) ჩემპიონი
199 რბოლა, 51 მოგება, 798,5 ქულა

მიკა ჰაკინენი
ფინეთი



დაიბადა 1968 წელს
ორგზის (1998, 99) ჩემპიონი
162 რბოლა, 20 მოგება, 420 ქულა



შარშანდელის კი მასსოვს... რუსეთში ჩილა-ურუგვაის გავლით

წუხელ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა. როგორც უკვე იცით, ბორჯღალოსნებს ორკვირიანი ტურნე ელით ჩილესა და ურუგვაიში, სადაც ფირა-აერ-ის კონსარის თასი გათამაშდება და სადაც ჩილე-ურუგვაის გარდა ჩვენები და პორტუგალიელები იბურთავენ. თუმც სისტემა ისეთია, ყველა ყველას არ ზვდება, ანუ თითო ნაკრებს ორი მატჩის ჩატარება მოუწევს. 30 ოქტომბერს ქართველები მონტევიდეოში ურუგვაის შერეკინებიან და ეცდებიან, შარშანდელ მსოფლიოს თასზე გამწვარება ცხვირში ამოაღონ. 6 ნოემბერს კი სანტიაგოში ჩილელებს ვესტუმრები.

ისე კი, ჩვენებმა ტურნე მართლაც ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ. მატჩები მატჩებად და მომავალ საერთოასო მეტოქე პორტუგალიასაც ნახავენ საქმეში, ისევე როგორც ისინი გენახავენ...

ბორჯღალოსანთა მწვრთნელებმა დავით ჩაველიშვილმა და მალხაზ ჭეიშვილმა ლათინურ ამერიკაში 25 მორაგბე წაიყვანეს, რომელთაგან მხოლოდ სამი ლეგიონერია: შერკინების ნახევარმცველი ბიბინა სამხარაძე და მესამეხაზელი ზვიად მაისურაძე ინგლისური „ვოლფო-

რიდან“ და დავით ზირაკიშვილი ფრანგული კლუბიდან. ნაკრებს ბოლო დღეს ტრავმის გამო გამოაკლდა კიდევ ერთი „ფრანგი“ ბესო უდესიანი, ხოლო ქართული კლუბებიდან ჩილე-ურუგვაისთან ესენი ითამაშებენ: ზაზა ვალიშვილი, მამუკა გორგოძე, ალექსანდრე მჭედელიშვილი, დავით ბოლღაშვილი, ბექა სარდანაშვილი, აკაკი სანაძე, ნიკო ჭავჭავაძე, გიორგი სანიკიძე, ირაკლი ნინიძე, გიორგი ყუნტი, არჩილ კოპალეიშვილი, როინ ჩიკვაძე, ვახტანგ ფაილოძე, მერაბ კვირიკაშვილი, ოთარ ბარკალაია, ლაშა ფირფელაშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი მანხანელი, ლექსო გუგავა, გიორგი ელიზბარაშვილი, ზვიად კობერიძე, გიორგი შკინინი.

სამხრეთ ამერიკიდან ჩამოსვლისთანავე ანუ 9 ნოემბრიდან, საქართველოს ნაკრები 20 ნოემბრის საერთოასო მატჩისთვის დაიწყებს მზადებას. ამ დღეს ხომ ჩვენს ისტორიულ და მარად ძლეულ რუსებს კრასნოდარში შევერკინებით. ცხადია, სარუსეთოდ ლეგიონერებიც უხვად შემოგვიერთდებიან და სადაც ამდენჯერ დაგვირბევია, ერთხელ კიდევ უნდა გავამწაროთ სლავები, რომლებსაც, როგორც იცით, შეუძლოდ მყოფი ალექსანდრ

პერუხინის ნაცვლად იგორ მირონოვი უთავკაცებს. ეს კაცი სამწვრთნელო პრაქტიკაში ვერაფრით დაიკვეხნის, თუმც თავის დროზე კარგი მორაგბე ყოფილა, მონინოს „კვაში“ და შემდეგ ერთ-ერთ ფრანგულ კლუბშიც უბურთავია.

ბოლოს, მსოფლიოს სარაგბო რეიტინგსაც გადავხედოთ: საქართველო 21-ე პოზიციაზეა და ურუგვაის სამი, ჩილეს კი ორი საფეხურით ჩამორჩება, თუმც რუსეთს კვლავაც სამი ადგილით უსწრებს:

ილია ნანობაშვილი

სანაწარმო	რეიტინგის
1	ახალი ზელანდია
2	ინგლისი
3	ავსტრალია
4	საფრანგეთი
5	სამხრეთ აფრიკა
6	ირლანდია
7	არგენტინა
8	უელსი
9	შოტლანდია
10	ფიჯი
12	რუმინეთი
20	პორტუგალია
21	საქართველო
23	ჩეხეთი
24	რუსეთი
26	უკრაინა

ვინს დაიწყო, იმან წააგო

საპარტიველო ჩემპიონატის გასულ ტურში ერთ მატჩს დასრულება არ ეწერა. თბილისში „ყოჩები“ ბათუმის „დათვებს“ მასპინძლობდნენ და თამაშის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე 12:19-ს აგებდნენ. ამ დროს „ყოჩი“ ხურცილავა მსაჯ ჩაჩუას ემგერა და ცემა. მატჩი შეწყდა და ამ ინციდენტის თაობაზე საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს.

დაუსრულებელი მატჩის ანგარიში ძალაში დარჩა იმ მოტივით, რომ ჩხუბი იმ დროს მდევარი „ყოჩების“ მორაგბემ წამოიწყო. ხურცილავას ჩაჩუას ცემა ერთმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა, ხოლო „დათვების“ მთავარ მწვრთნელ ლევან მგელაძეს მკაცრი გაფრთხილება მისცეს მსაჯთან კამათისთვის.

ილია ნანობაშვილი



სპორტი თეორიაში

სამინისტროს მომავალი გეგმები
გუშინ კულტურის, სპორტისა და ძველთა დაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ სპორტული ჟურნალისტიკისთვის მინი-პრესკონფერენცია მოაწყო და ათიოდ დღის წინ ბუდაპეშტში ჩატარებულ დიდ კონფერენციაზე განხილულ საკითხებს შეეხო. ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ ევროპის სპორტზე პასუხისმგებელ მინისტრთა მე-10 კონფერენციაზე, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება, საქართველო პირველად იყო წარმოდგენილი და თევზაძე სპორტის განვითარების კომიტეტის ბიუროს წევრადაც აირჩიეს.

„ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ კონფერენციაზე რომ ზოგადად სპორტისა და პოლიტიკის ურთიერთობაზე იქნებოდა გამახვილებული ყურადღება, ამას რა მიხვედრა უნდა, თუმც ესეც ხომ უმნიშვნელოვანესი რამაა — გვითხა თამაზ თევზაძემ — ბუდაპეშტურ კონფერენციაზე ძირითადად სამ თემაზე ვისაუბრეთ:



1. სპორტის სწორი მართვის პრინციპები
 2. იუნესკოს მიერ ახალი დოპინგ საწინააღმდეგო საერთაშორისო ინსტრუმენტის შემოღებით მიღწეული პროგრესი და მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოსთან დაკავშირებული საკითხი
 3. ევროპული სპორტის თანამშრომლობა — 2004-2008
- გამართული ევროპული სისტემის გადმოღების ერთ-ერთი პირობა არასამთავრობო ორგანიზაციების აუცილებლობაა. მათ საჭიროებას ჩვენთან ცალ-ცალკე ყველა ეთანხმება, მაგრამ ეს საკითხი ჯერაც მოუგვარებელია. ბუდაპეშტში მიღებული რეზოლუციით გადაწყდა, ხელი შეეწყოს ყველა ინსტიტუტს, არასამთავრობო ორგანიზაციასა თუ სხვა სპორტულ ჯგუფს, განახორციელოს, გააძლიეროს და მხარი დაუჭიროს იმ ინიციატივებს, რომლებიც სპორტის სწორი მართვის პინციპებს ემყარება. სამთავრობო და არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების ურთიერთობებზე უფრო დაწვრილებით 9-10 ნომბრისთვის თბილისში დაგეგმილ კონფერენციაზე ვისაუბრებთ. მას

ჩვენს გარდა სომხები, აზერბაიჯანელები და უკრაინელებიც დაესწრებიან.“

მინისტრის მოადგილემ ბუდაპეშტური ორდღეულის შეჯამების შემდეგ ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა და აი, ერთ-ერთი ბოლო შეკითხვა, რომელიც კონფერენციას არ ეხებოდა, თუმც კონკრეტული და ამავედროულად საინტერესოც იყო:

— სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის გაუქმებაზე საუბარი ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე დაიწყო. რა გეგმები აქვს სამინისტროს ამასთან დაკავშირებით?

— ეს კონსტიტუციური საკითხია და პარლამენტარებმა უნდა გადაწყვიტონ.

დასასრულს ისევ კონფერენცია-სა და აწყობილი ევროპული სისტემის ქართულ რეალობაში გადმოტანაზე იცოცხლეო, კარგი იდეაა და ვერც იმ აზრს შევეწინააღმდეგებით, რომ ეს საქმე თეორიით უნდა დაიწყოს, მაგრამ მისთვის არ უნდა დასრულდეს და სიტყვას საქმეც მოჰყვეს. თან რაც მალე, მით უკეთესი სპორტისთვის.


ოთარ მალაგაძე

გორილა განსაიხი

ამასაც მოესწრო
კომუნისტური ჩინეთი:
შანხაიში კორიდა
ვაიმართა. დარჩეული
ტორეროები
ესპანეთიდან მოიწვიეს,
ხარები მექსიკიდან
ჩამოიყვანეს
(ჩინეთი ევროპულ
ხარ-ძროხას არ ენდობა
ვანთქმული ცოფის
შემდეგ). ტრიბუნები
ვაჭკედილი არ იყო და
ხარის მოკვლა არ
შეიძლებოდა. მიზანი კი
ესპანური კულტურის
უკეთ შეცნობა იყო.



ჰიუგოს უფლისწულისგან



ესპანეთის პრინცმა
ფელიპემ ოგიედოს
კამპომაიორის თეატრში
საგანგებო, ასტურიის
უფლისწულის ჯილდო
გადასცა მაროტელ
მძღველსან ჰიუგო ულ
გურუჯს. ეს ჯილდო
1981 წლიდან
გადაეცემათ მსოფლიოს
გამოჩენილ
სპორტსმენებს
და არა მხოლოდ
სპორტსმენებს —
უბრალოდ, გამოჩენულ
ადამიანებს.

იანისა დაგლა

ხორვატიის სათხილაპურთ სიმბოლო
და ყველაფრის ჩემპიონი
იანისა კოსტელინი ახლა ვერ არის
მთლად ჩასიათხე. ავსტრიულ შოულდენში
მიმდინარე ქალთა მსოფლიო თასზე,
გიგანტურ სლალომში მან მხოლოდ
მერვე შედეგი უჩვენა. ეს შეჯიბრი კი
შვედმა ანია პაერსონმა მოიგო.



ბოსტონის საქოგაგოდ

ვახურდა ბეისბოლის მსოფლიო სერია „სენტ ლუისსა“
და „ბოსტონს“ შორის. „ფინგვი პარკზე“, გამოიხიდა
ბოსტონელთა ძველი ქომაგი, მსახიობი ბენ აფლეკი,
მასთან ერთად კი მისი კოლეგა ჯენიფერ გარნერი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჳრცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე,
კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაყიძე,
ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვაია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკლიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, სათუნა ბუხუნიშვილი, ელენე
გელუტაშვილი, რუსუდინ ერისთავი, ფატი დვალისხელი, მაგდა დოგ-
რაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზუ-
რაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
პირაუბნი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79, საზოგადოებრივი
ყაბუნი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვებ-საიტი
http://www.sarbili.com.ge

REUTERS შანხაიდან

REUTERS ოგიედოდან

REUTERS შოულდენიდან

REUTERS ბოსტონიდან